ბახვიჰესი

ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

ჩვენ ავაშენეთ ბახვი ჰესი

გიორგი აბრამიშვილი, ბახვი ჰესის დირექტორი:
„2021-2025 წლების მანძილზე, ბახვი ჰესის მშენებლობაზე 230 მდე ადამიანი იყო დასაქმებული. კომპანიის გუნდი მრავალფეროვანია, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან ჩამოსული პროფესიონალი იღებს მონაწილეობას ბახვი ჰესის მშენებლობის პროცესში.
თუმცა, დასაქმებული ადამიანების 37% ადგილობრივი მოსახლეობა წარმოადგენს, საიდანაც 34% ქალბატონია.
პროექტის განხორციელების პროცესში, ბახვი ჰესმა შეასრულა ყველა დანაპირები, რომელიც პირველ წლებში გასცა.
ჰესი თანამედროვე, დასავლური სტანდარტებით არის აშენებული.
ბახვი ჰესის პროექტის განვითარების ყველა ეტაპზე, იყო უზრუნველყოფილი გამჭვირვალობა, კომუნიკაცია დაინტერესებულ პირებთან ყოველთვის დიალოგს ფორმატში მიმდინარეობდა.
ბახვი ჰესი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად შენდება.
შესრულდა ყველა სოციალური პროექტი, რომელიც ადგილობრივებთან იყო შეთანხმებული.
უამრავმა ადამიანმა ისარგებლა იმ სიკეთეებით, რომელიც პროექტმა მოიტანა რეგიონში.

ახლა კი, წარმოგიდგენთ ადამიანებს გურიის რეგიონიდან, ვინც უშუალოდ იღებდა მონაწილეობას ბახვი ჰესის მშენებლობაში და აქვე, კომპანიის სახელით, მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს“.

გილოცავთ შობასა და ახალ წელს!

დაე, 2026 წელს წარმატებები, ახალი შესაძლებლობები და კეთილდღეობა მოეტანოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

ბახვი ჰესის გუნდი

ბახვი ჰესი

ირემაძე ამირან	მარკოიძე გიორგი	ართმელაძე ერეკლე	ნემსაძე ბესიკი	გოგუაძე იზა	გოდერძი ჟღერია
ირემაძე ზვიად	ჩხიკვაძე გივი	ართმელაძე ლეილა	ცეცხლაძე მამუკა	შავაძე გიორგი	პაატა დუმბაძე
ბოლქვაზე ჯემალ	ქათამაძე მარიამ	შეწირული ვარდო	კიღურაძე გიორგი	ირემაძე მუხამედ	ლეილა შავაძე
კომუშოვი ალინა	შავაძე მერაბ	მარკოიძე ზაზა	ვაშაყმაძე როინ	ინწკიველი ლუკა	ჯიშკარიანი შალვა
ვანიშვილი ნიკოლოზ	შავაძე რამინ	ართმელაძე ზურაბ	გობაძე აზზორი	საჯაია რუსუდან	ელდარ აბულაძე
ჩავლეშვილი ზაალ	შავაძე ომარ	მარკოიძე თამრიკო	ვანაძე მალხაზ	ვაშაყმაძე ოთარ	ქიშვარდი აბულაძე
ჩავლეშვილი ირმა	შავაძე მზიური	ვანაძე წათელა	შავაძე ამირან	ვაშაყმაძე მათე	ირაკლი თავზერიძე
მამეიშვილი ავთანდილ	ზურგალიძე გენადი	ჯიშკარიანი ნიკა	ცეცხლაძე ლევან	ასათიანი მიხეილ	ირაკლი ჭელიძე
ჩავლეშვილი ლია	სალვარიძე მზია	ჯიშკარიანი შაკო	კახაძე კამბულ	ნიკოლაშვილი ირაკლი	ჯემალ ანთაძე
ბოლქვაძე თამარი	მგელაძე მაყვალა	ჯიშკარიანი ამირან	კახაძე დიმიტრი	ჩავლეშვილი ციური	მეგრელაძე გელა
სურგულაძე კახა	ხოზრევანიძე ბესიკი	ართმელაძე ზვიადი	კახაძე მალხაზ	გორგაძე დათო	ჩავლეშვილი მაია
სირაძე ერეკლე	ხოზრევანიძე ცირა	ცეცხლაძე ნოდარი	ბერიძე ტარიელ	გუჯაბიძე გელა	დიასამიძე რუსუდან
გორდულავა ჟოზე	ხოზრევანიძე თამაზი	ცეცხლაძე მალხაზ	ვანაძე რომან	გუჯაბიძე გიორგი	ართმელაძე მალხაზი
მეგრელაძე ზურა	ტოროტაძე როლანდ	შეწირული ავთო	ვანაძე დათო	კახი მენაბდე	დოლიძე ტარიელ
ჩავლეშვილი მაგული	ტოროტაძე თეა	წიტაიშვილი დავით	ვანაძე ნოდარ	მოსე დათუნაშვილი	ბოლქვაძე მევლუდ
ჩავლეშვილი ნანა	მარკოიძე დათო	კაპანაძე მალხაზ	შავაძე მურმან	კარლო ძნელაძე	მახარაძე გიორგი
ჩავლეშვილი მაყვალა	შეწირული გრიგოლ	ბოლქვაძე რეზო	ლესელიძე ზურაბ	ლიკა ასიეშვილი	გოგუაძე იზა
ირემაძე ასმათ	ცეცხლაძე ირაკლი	მგელაძე მალხაზ	არჩვაძე კახა	ნინი გიორგაძე	ამირან გოგოლიშვილი
დვალიშვილი ვერა	მარკოიძე ბადრი	ვაშაყმაძე მურად	არჩვაძე გიორგი	თეკლა ნიკოლიშვილი	ჩხიკვაძე გიორგი
ჩავლეშვილი ივანე	მარკოიძე ნიკა	სირაძე დავით	ძირკვაძე რუსლან	გიორგი ხელაძე	მეგრელაძე ვასო
ჟღენტი ეთერი	ვაშალომიძე დავით	სირაძე საბა	შავაძე ნონა	გიორგი ასათიანი	ართმელაძე თამაზ
ვაშალომიძე გიორგი	გოზრონიძე მარინა	ვაშაყმაძე თემური	თავზერიძე ნიკა	ბაჩო გოგელია	წიტაიშვილი თორნიკე
სიმონიშვილი ეკატერინე	მეკეიძე ნაზი	წიტაიშვილი დიმიტრი	ირემაძე ჯემალ	გურამ მჟავანაძე	ვაშაყმაძე ჯუმბერ
ჩავლეშვილი ლუკა	მეკეიძე დავით	წიტაიშვილი გიორგი	თალაკვაძე მერაბ	გიორგი დოლიძე	კახაბერ ჩხაიძე

ბახვი ჰესის შესახებ

ბახვი ჰესი მართავს მდინარის მოდინებაზე მომუშავე მცირე და საშუალო ზომის ბახვი 1 და ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტებს, რომლებიც დაგეგმილია მდინარე ბახვისწყალზე.

განსახორციელებელი პროექტები მოქცეულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
მათი ჯამური დადგმული სიმძლავრეა 43 მეგავატი, წლიური დაგეგმილი გამომუშავება კი, 180.5 მილიონ კილოვატსაათია.

ბახვი ჰესის სოციალური პროექტები და ამ პროექტებით მოსარგებლე ადამიანები ჩვენს შესახებ

ინფრასტრუქტურული პროექტები

ლელა მდინარაძე,
ბახვი ჰესის მრჩეველთა საბჭოს წევრი

„როცა ბახვი ჰესი შემოვიდა, დასაქმდა ადგილობრივი მოსახლეობა. ჩვენ ვიცით, ერთი ადამიანის უკან რამდენი ადამიანი დგას. დასაქმებამ ხელი შეუწყო ეკონომიკური და სოციალური ვითარების გაუმჯობესებას. თავიდანვე, კომპანია გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობით.
ჩვენ მრჩეველთა საბჭოს ფორმატში გვქონდა ჯანსაღი კომუნიკაცია, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ერთმანეთის გათვალისწინება“.

თემურ მჟავანაძე,
ბახვი ჰესის მრჩეველთა საბჭოს წევრი



„ძლიერი ბიზნესის გარეშე სოფელი ფეხზე ვერ დადგება.
სასიხარულოა, რომ სოფელში ყველა მსურველი დასაქმებული აღმოჩნდა ბახვი ჰესის მშენებლობაზე. დაპირებული ინფრასტრუქტურული პროექტები შესრულებულია, რეაბილიტირებულია სოფლის გზები. დიდთოვლობის დროსაც კომპანია გვერდში ედგა მოსახლეობას“.

მერი ბოლქვაძე,
ვანისქედის მკვიდრი

„არ მჯეროდა, არ მეგონა, რომ ეს ჩვენი სოფლის წყლის სისტემა ოდესმე გაკეთდებოდა. თუმცა, ამ კომპანიამ დამაჯერა.
დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბახვი ჰესს, რომელმაც ჩვენი სოფლის პრობლემა მოაგვარა.
უწყლობა აუტანელია, დღეს ეს პრობლემა აღარ გვაქვს. მრავალი რამ გააკეთა ბახვი ჰესმა, ყველა კმაყოფილი ვარ და იმედია ჩვენი მეგობრობა გაგრძელდება“.

ნანული თხილაიშვილი,
ვანისქედის მკვიდრი

„როცა გავიგეთ, რომ ჰესი შენდებოდა, გაგვიხარდა. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ადამიანები დასაქმდებოდნენ და წელში გაიმართებოდნენ ოჯახები ეკონომიურად. ზოგი ოჯახიდან ერთი კი არა, რამდენიმე წევრი მუშაობს ბახვი ჰესის მშენებლობაზე. სასიამოვნო სანახავია, როგორ გარბიან ჩემი თანასოფლელები დილაობით სამსახურში“.

მცირე ბიზნესის დახმარება

ალეკო მამეშვილი,
ასოციაცია „ჩაის გზის“
დამფუძნებელი

„ჩვენი თანამშრომლობა განხორციელდა ასოციაცია ჩაის გზის ფარგლებში.
ჩვენ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გავატარეთ ერთად - ეს იყო ჩაის ფესტივალი, ვატარებდით ინფო ტურებსა და პრესტურებს, ტარდებოდა საინფორმაციო და სასწავლო პროგრამები.
დღეისათვის გურიაში 20-მდე ჩაის გადამამუშავებელი მცირე საწარმოა; ასოციაციის წევრების რაოდენობაც გაიზარდა; ასევე გაიზარდა ვიზიტორების რაოდენობა სტუმარ-მასპინძლობის ობიექტებზე და 6000 შეადგინა ამ წელს. ეს კი, მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა ადგილობრივი ტურისტული ლოკაციების მფლობელებისთვის“.

მარინა ჩიხლაძე,
„სამზეურას“ დამფუძნებელი

„მე და სოფლის ტურიზმი რომ შევხვდით ერთმანეთს, ამ პერიოდში გამოჩნდა ბახვი ჰესი. ჩვენ მთის როლს ვასრულებთ რეგიონში, დავრჩით და ვაძლიერებთ სოფლებს. ბახვი ჰესის მხარდაჭერა ბევრს ნიშნავდა ჩემთვის, ჰაერი იყო იმ მომენტში ის ტრენინგები, ის პიარაქტივობები, გამოფენები, სტუმარ-მასპინძლობის სექტორის სიახლეები, რომელსაც ვეცნობოდით. სწორედ ამის დამსახურებაა დღეს ამდენ ტურისტს რომ ვმასპინძლობ და უნდა ვთქვა, რომ ბევრი ჩამოდის, მერე ბევრი ბრუნდება. მადლობა ბახვი ჰესს ამისთვის“.

დავით თენიეშვილი,
„TeneTea“-ს დამფუძნებელი

„თუკი შემეკითხებიან, როგორ უნდა დაიწყოს ბიზნესი ადამიანმა? ნომერ პირველი არის მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირი. არსებული ვითარების სწორად დანახვა, აღქმა. ეს არის სწორი გზით სიარულის გარანტია. მე დავინახე კომპანია, რომელმაც ეს პირნათლად შეასრულა. ბახვი ჰესის თითოეული წარმომადგენელი განსხვავებული ადამიანია. მათ ძალიან კარგად გამოსდით ურთიერთობები. კარგი მეზობლობა ისაა, როცა გვერდში გიდგას ის. ბახვი ჰესის სახით გვყავს კეთილი, კარგი მეზობელი, რომელიც ჩვენზეც ფიქრობს“.

მედიის გაძლიერება

ია მამალაძე,
„გურია ნიუსის“ დამფუძნებელი

„ვინ თუ არა ბიზნესმა უნდა განავითაროს მედია და ის არ უნდა გახადოს დამოკიდებული პოლიტიკაზე.
ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ძლიერი ბიზნესის შემოსვლა რეგიონში. ოღონდ, მას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მოსახლეობას უნდა ეკონტაქტოს მედიის საშუალებით.
ბახვი ჰესთან ურთიერთობის შემდეგ, თამასა აწეულია და ვფიქრობ, რომ ასე უნდა მივუდგეთ ყველა ახალ ბიზნესს რეგიონში და ამ სტანდარტის დაცვა უნდა ვთხოვოთ, რომელიც ამ კომპანიამ გააჩინა“.

ლადო მენაბდე
„გურიის მოამბის“ დამფუძნებელი

„მსხვილ ბიზნესს შემოაქვს ცივილიზაცია იქ სადაც შედის. მაღალ სწევს ე.წ. თამასას. ბახვი ჰესი ცივილური მეთოდებით მუშაობს. მისთვის მნიშვნელოვანია ღიაობა, გადაწყვეტილებების პროცესებში ჩართულობა. უნდა ვთქვა, რომ გარკვეულწილად მედია და არასამთავრობო სექტორიც მშენებლები გავხდით, ჩაგვითრიეს ამ საქმეში და ბახვი ჰესის წარმატება, ჩვენს წარმატებად იქცა„.

ნუგზარ ასათიანი,
გაზეთ „ალიონის“
მთავარი რედაქტორი

„მოსახლეობამ მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბახვი ჰესი არის ჩამოყალიბებული კომპანია, რომელსაც არ ეშინია ინფორმაციის გაცემის, გამჭვირვალობის, ჩართულობის“.

შშმ პირების დახმარება

მაკა შანიძე,
ორგანიზაცია „ქალები ქალებისათვის“
საზოგადოებასთან
ურთიერთობის მენეჯერი

„ძლიერი ბიზნესის შემოსვლა რეგიონში ყოველთვის ქმნის ახალ შესაძლებლობებს, მით უმეტეს თუ კერძო სექტორი პასუხისმგებლობას გრძნობს თემის წინაშე. სწორედ ასეთი პარტნიორობა ზრდის სოციალურ ერთობას. ბახვი ჰესის შემოსვლამ პოზიტიური კვალი დატოვა გურიის რეგიონში. მათ თავიდანვე აირჩიეს ის გზა, რომელიც მორგებული იყო ხალხის საჭიროებებზე. ბახვი ჰესთან თანამშრომლობა დაფუძნებულია ადამიანურ ურთიერთობებზე“.